გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 72

2020 წლის 12 ივნისი

ქ. გორი

ქალაქ გორში, ჭავჭავაძის გამზირსა და სამეფოს ქუჩის კვეთასთან (სამეფოს ქ. №76-ის მიმდებარედ) საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარ სამართველოსთან ერთად, შეისწავლა ქალაქ გორში, ქართლის ქუჩზე არსებული მდგომარეობა, საბითუმო მაღაზიების გამო, დღის განმავლობაში შეინიშნება მოსახლეობის დიდი კონცენტრაცია. ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, საჭიროა, რომ ქართლის ქუჩაზე აიკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ზონაში მდებარე საწარმოს, ან/და ემსახურება ან ეკუთვნის ამავე ზონაში მცხოვრებ ან მომუშავე პირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ გორში, ჭავჭავაძის გამზირსა და სამეფოს ქუჩის კვეთასთან (სამეფოს ქ. №76-ის მიმდებარედ) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3,2 „მოძრაობა აკრძალულია", დამატებითი ინფორმაციის ნიშნით 8.5.4 „მოქმედების დრო"-„10.00-19.00".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, ჭავჭავაძის გამზირსა და სამეფოს ქუჩის კვეთასთან (სამეფოს ქ. №76-ის მიმდებარედ) დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3,2 „მოძრაობა აკრძალულია", დამატებითი ინფორმაციის ნიშნით 8.5.4 „მოქმედების დრო"-„10.00-19.00".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

218086087